გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 142

2020 წლის 15 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

2019 წლის 29 ნოემბერს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმდა სასესხო შეთანხმება (საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამა), რომლითაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დათანხმდა გამოეყო საქართველოსთვის 17000000 (ჩვიდმეტი მილიონი) ევრო, რომლის ფარგლებშიც განხორციელდებოდა დიზელის საწვავზე მომუშავე ავტობუსების შესყიდვა და გამოყენებისთვის გადაეცემოდათ „ბენეფიციარებს" - საქართველოს მუნიციპალიტეტებს. ამავე თანხით დაფინანსდება კორპორატიული განვითარების პროგრამა, სატრანსპორტო რეფორმის კვლევა და გენდერის საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამას, რაც ითვალისწინებს საქართველოს ექვსი მუნიციპალიტეტისთვის (მათ შორის გორის მუნიციპალიტეტისთვის) თანამედროვე, დიზელის ძრავიანი საქალაქო ავტობუსების მიწოდებას. აღნიშნული პროცესის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტისთვის ცნობილი გახდა, რომ 2020 წლის ნოემბრის თვიდან გორის მუნიციპალიტეტს ეტაპობრივად გადაეცემა 30 (ოცდაათი) ავტობუსი. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან 2020 წლის 28 სექტემბრის N 2702-გ-2-202009281218 წერილით გადმოგზავნილია ფონდსა და გორის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ქონების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი, რომლის მიხედვითაც ფონდი ბენეფიციარისთვის შეისყიდის, განაბაჟებს და გადასცემს მას სამგზავრო რვანახევარი მეტრის სიგრძის ავტობუსებს - 18 (თვრამეტი) ერთეული და ათი მეტრის სიგრძის ავტობუსებს - 12 (თორმეტი) ერთეული და მის სათადარიგო ნაწილებს. პროექტის სრული საბაზისო ღირებულება შეადგენს 3,885,307ევროს; ამავე ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის მიერ ასაღების

სესხი 3,292,633 ევრო (სესხის ხანგრძლივობა - 10 წელი), ასევე პროექტის თანადაფინანსებისთვის ფონდის მიერ საქართველოს საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯები - 592,674 ევროს ოდენობით, რომლის შესაბამისი ქონების ღირებულება მუნიციპალიტეტს გადაეცემა უსასყიდლოდ, გრანტის სახით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, საჭიროა მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის სახელით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მიიღოს გრანტი 592,674 ევროს ოდენობით, საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში პროექტის თანადაფინანსებისთვის და გააფორმოს თანდართული ხელშეკრულება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-100 მუხლის მე-7 პუნქტით საკრებულოს თანხმობა გრანტის მიღებაზე სავალდებულოა, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მისცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის სახელით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მიიღოს გრანტი 592,674 ევროს ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის სახელით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მიიღოს გრანტი 592,674 ევროს ოდენობით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

ხელშეკრულება N_____

ქონების გადაცემის ხელშეკრულება
(საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება)

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს
და
გორის მუნიციპალიტეტს შორის

საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელების შესახებ

(EBRD)

თბილისი

თარიღი_____

საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება

წინამდებარე საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება (შემდგომში - `ხელშეკრულება~) გაფორმდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში `ფონდი~) და თვითმმართველ თემს გორის მუნიციპალიტეტს (შემდგომში - `მუნიციპალიტეტი") შორის, რომლებიც ამიერიდან ერთობლივად იწოდებიან `მხარეებად~, ხოლო თითოეული მათგანი `მხარედ".

პრეამბულა

იმის გათვალისწინებით რომ,

(ა) საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2019 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული პროექტისა და სასესხო შეთანხმების ფარგლებში (შემდგომში - დაფინანსების ხელშეკრულებები), საქართველომ საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამასთან დაკავშირებით (შემდგომში - პროექტი) მიიღო დაფინანასება;

(ბ) ფონდი უფლებამოსილია მართოს მიღებული თანხები, როგორც განსაზღვრულია ფონდსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2019 წელს 3 დეკემბერს გაფორმებულ საპროექტო შეთანხმებაში;

(გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ფონდს შორის 2020 წლის 23 მარტს გაფორმდა ქვესასესხო და თანხის გადაცემის ხელშეკრულებები, დონორთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ფონდსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრის მიზნით.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

I მუხლი

ქვეპროექტის აღწერა

1.1 პროექტის მიზნებისთვის, ფონდი ბენეფიციარისთვის შეისყიდის, განაბაჟებს და გადასცემს მას სამგზავრო რვა ნახევარი მეტრის სიგრძის ავტობუსებს - 18 (თვრამეტი) ერთეული და ათი მეტრის სიგრძის ავტობუსებს - 12 (თორმეტი) ერთეული (შემდგომში - პროექტის ქონება) და მის სათადარიგო ნაწილებს;

1.2 პროექტის განხორციელების საორიენტაციო პერიოდია ერთი წელი (კონტაქტის გაფორმებიდან);

1.3 პროექტის ფარგლებში ფონდის მიერ შეძენილი ტექნიკა და აღჭურვილობა საკუთრებაში გადაეცემა მუნიციპალიტეტს, რომელიც უზრუნველყოფს მის მიღებასა და ბალანსზე აყვანას კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
1.4 გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში ფონდი მუნიციპალიტეტს გაუწევს დახმარებას კორპორატიული განვითარების პროგრამის და სატრანსპორტო რეფორმის გეგმის მომზადებისთვის და პროექტის ქონების ექსპლუატაცია/მომსახურებაში ქალთა ჩართვასა და შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით, როგორც ეს გათვალისწინებულია დონორთან გაფორმებულ სასესხო და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებებში.

II მუხლი

პროექტის ფინანსური ნაწილი

2.1 პროექტის სრული საბაზისო ღირებულება შეადგენს 3,885,307 ევროს;

2.2 სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესხო და საპროექტო ხელშეკრულებების შესაბამისად ფონდი დააფინანსებს პროექტის ღირებულების სრულ ოდენობას (100%-ს);
2.3 პროექტის სრული ღირებულებიდან ფონდი მუნიციპალიტეტს სესხად გადასცემს პროექტის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სახსრებიდან შეძენილი ტექნიკის ღირებულებას. შესაბამისად, სესხის საორიენტაციო ღირებულება იქნება 3,292,633 ევრო. სესხის ოდენობაში არ იქნება შეტანილი პროექტის თანადაფინანსებისთვის ფონდის მიერ საქართველოს საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯები - 592,674 ევროს ოდენობით, რომლის შესაბამისი ქონების ღირებულება მუნიციპალიტეტს გადაეცემა უსასყიდლოდ, გრანტის სახით. სესხის და გრანტის საბოლოო დაზუსტებული ოდენობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით განსაზღვრული ქონების ან/და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ. აღნიშნული აქტის ხელმოწერის შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება სასესხო ხელშეკრულება, რომელშიც ასახული იქნება სესხის დაზუსტებული ოდენობა, სესხის პირობები და დაფარვის გრაფიკი;

2.4 ფონდი მუნიციპალიტეტზე სესხის გაცემას მოახდენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ფონდზე გაცემული სესხის პირობების იდენტური პირობებით. სესხის საპროცენტო განაკვეთს ფონდის მხრიდან დაემატება სარგებელი 0.5%-ის ოდენობით;

2.5 შესაბამისად, მუნიციპალიტეტზე სესხის გაცემა მოხდება შემდეგი პირობებით:
- სესხის ხანგრძლივობა - 10 წელი;
- სესხის ვალუტა - ევრო;
- სესხის, დარიცხული სარგებლის და მასთან დაკავშირებული სხა გადასახდელების დაფარვა მოხდება წელიწადში ორჯერ, 20 თებერვალს და 20 აგვისტოს;

- საშელავათო პერიოდი: სესხის ძირითადი თანხის პირველი გადახდა მოხდება 2023 წლის 20 თებერვალს;
- სესხის გადახდა დასრულდება 2029 წლის 20 აგვისტოს. სესხის ძირითადი თანხის გადახდა მოხდება 14 თანაბარ ნაწილად;
- საპროცენტო განაკვეთი - ცვალებადი, EURIBOR+0.5 %;
- პროცენტის დაანგარიშება დაიწყება სესხის პირველი ტრანშის ათვისების დაწყების თარიღიდან;
- სესხის გაცემის საკომისიო - სესხის ოდენობის 1%;
- ვალდებულების თანხა - სესხის აუთვისებელი ნაწილის 0.5%;
- სესხის ძირითადი თანხის, საპროცენტო და სხვა გადასახდელების გაანგარიშება მოხდება ევროში, ხოლო სესხის დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), შესაბამისი თარიღისთვის დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან სათანადო შეტყობინების მიღების შემდგომ, გადახდის თარიღამდე დაახლოებით ათი დღით ადრე, ფონდი მუნიციპალიტეტს გაუგზავნის შეტყობინებას გადასახდელი თანხის დაზუსტებული ოდენობის შესახებ. გადასახდელი თანხის შესახებ შეტყობინება შეიძლება გაგზავნილ იქნას ელექტრონული ფოსტითაც, მხარეთა მიერ შეთანხმებულ ელექტრონულ მისამართზე. აღნიშნული შეტყობინების მიუღებლობა მუნიციპალიტეტს არ ათავისუფლებს სესხის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სესხის მიმდინარე ვალდებულების გადახდისაგან;
- ფონდთან წინასწარი შეთანხმებით მუნიციპალიტეტს შეუძლია, სესხის გადახდის ვადის დადგომამდე, სრულად ან ნაწილობრივ დაუბრუნოს ფონდს სესხი, იმ დროისთვის მასზე დარიცხულ პროცენტებთან და სხვა გადასახდელებთან ერთად;
- მუნიციპალიტეტის მიერ სესხის გადახდის თარიღად ჩაითვლება ფონდის შესაბამის სახაზინო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის თარიღი;
- იმ შემთხვევაში, თუ სესხის ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის გადახდა არ განხორციელდება სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი გადაიხდის ჯარიმას გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე. საჯარიმო თანხა გამოითვლება 360 დღიანი წლის და თორმეტი 30 დღიანი თვის საფუძველზე;
- სასესხო ვალდებულების დასაფარად მუნიციპალიტეტის მიერ ფონდისთვის ჩარიცხული თანხიდან პირველ რიგში დაიფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ - სესხზე დარიცხული პროცენტი და ბოლოს - სესხის ძირითადი თანხა.

III მუხლი

მუნიციპალიტეტის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

ბენეფიციარი ვალდებულია:

3.1 მიიღოს ფონდის მიერ მისთვის შესყიდული პროექტის ქონება;

3.2 მოქმედი წესების და რეგულაციების შესაბამისად პროექტის ქონება შეინახოს კარგ მდგომარეობაში (ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით);

3.3 სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სესხის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების სრულად დაფარვამდე, გაითვალისწინოს მიღებული სესხის მომსახურებისათვის განკუთვნილი ხარჯები ყოველი მომდევნო წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში და დაფაროს სესხი სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

3.4 შეასრულოს პროექტით განსაზღვრული ყველა ღონისძიება და ქმედება პროექტის ეფექტური განხორციელებისა და დასახული მიზნების მისაღწევად;

3.5 არაუგვიანეს ავტობუსების ოპერირების დაწყების თარიღიდან მეორე წლისთავისა, ან არსებული ავტობუსების ოპერირების შემთხვევაში პროექტის ქონების მიწოდებიდან მეორე წლის თავისა, მიიღოს ახალი სატარიფო სისტემა რომელიც შესაბამისობაში იქნება კორპორატიული განვითარების პროგრამისა და სატრანსპორტო რეფორმის კვლევის რეკომენდაციებთან.

3.6 არაუგვიანეს ავტობუსების ოპერირების დაწყების თარიღიდან მესამე წლისთავისა ან არსებული ავტობუსების ოპერირების შემთხვევაში, პროექტის ქონების მიწოდებიდან მესამე წლის თავისა, უზრუნველყოს შესაბამისი საბილეთო სისტემის შემოღება, რაც მოცემული იქნება მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შექმნილი კორპორატიული განვითარების პროგრამისა და სატრანსპორტო რეფორმის კვლევის რეკომენდაციებში;

3.7 დაიცვას ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში ვალის ვალდებულებების აუცილებელი ლიმიტები;

3.8 განახორციელოს ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით, მათ შორის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და უზრუნველყოს ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების მომზადება და წარდგენა ფონდისთვის დადგენილი ფორმის შესაბამისად;

3.9 პროექტი განახორციელოს წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის და ყველა შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვების, ლიცენზიების და თანხმობების შესაბამისად;

3.10 დააზღვიოს ფონდის მიერ გადაცემული სამგზავრო ავტობუსები;

3.11 უზრუნველყოს პროექტის ქონების გამართული ფუნქციონირება;

3.12 ტექნიკას ჩაუტარდეს პერიოდული ტექნიკური დათვალიერება საქართველოს კანონმდებლობისა და მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად;

3.13 უზრუნველყოს ბენეფიციარების ტექნიკური დახმარება გადამზადების კუთხით, მათ შორის ადგილობრივ ქალთა გადამზადების მიზნით, რათა მათ მიეცეთ მუნიციპალურ კომპანიაში მუშაობის საშუალება. ამასთანავე, ანგარიშების მომზადება და წარდგენა ფონდისთვის დადგენილი ფორმის შესაბამისად;

3.14 პროექტის განხორციელებისათვის, მჭიდროდ ითანამშრომლოს ფონდთან და უზრუნველყოს ყველა სახის დოკუმენტის ნებართვის მოპოვება;

3.15 მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდს მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის ქონების და მათი მდგომარეობის შესახებ;

3.16 დაუყოვნებლივ შეატყობინოს ფონდს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით რაიმე შემთხვევის დადგომის შესახებ, რომელსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, მოსახლეობასა და დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, აღნიშნული შემთხვევის ხასიათი და მის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ზომები. პროექტთან დაკავშირებულად განიხილება ნებისმიერი

ინციდენტი ან უბედური შემთხვევა, თუ მას ადგილი ჰქონდა ისეთ უბანზე, რომელიც გამოიყენება პროექტის მიზნებისათვის, ან მის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული ან მასთან დაკავშირებული ობიექტები, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები ან კონტეინერები (მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მათი გამოყენება პროექტთან დაკავშირებულ უბანზე და უფლებამოსილი პირი იყენებდა მათ თუ არაუფლებამოსილი პირი). ??????, შემთხვევა ჩაითვლება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მქონედ გარემოზე, მოსახლეობასა და დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იმ შემთხვევაში თუ:
(ა)რომელიმე შესაბამისი კანონის თანახმად საჭიროა ამგვარი ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ რომელიმე სახელმწიფო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნა;

(ბ)ამგვარი ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა ადამიანი (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ადამიანი პროექტის ორგანიზაციის ან რომელიმე ბენეფიციარის დასაქმებული პირი);

(გ)ერთზე მეტმა ადამიანმა (იმის მიუხედავად, არიან თუ არა ეს ადამიანები პროექტის ორგანიზაციის ან რომელიმე ქალაქის დასაქმებული პირები) მიიღო სერიოზული დაზიანება, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას;
დ)ამგვარი ინციდენტი ან უბედური შემთხვევა გახდა ან შესაძლოა, გახდეს ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი მედიით ან სხვაგვარად.

3.17 უნდა შეატყობინოს ფონდს მუშების ან საზოგადოების მხრიდან პროექტთან ან ბენეფიციართან დაკავშირებული პროტესტის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ან შესაძლოა გახდეს ცნობილი მედიის ან სხვა საშულებების მეშვეობით. ამგვარი შეტყობინებიდან 5 სამუშაო დღის მანძილზე, ბენეფიციარი ფონდს წარუდგენს ანგარიშს, სადაც განსაზღვრული იქნება ბენეფიციარის მიერ აღნიშნულ პროტესტთან დაკავშირებით საკითხის შესწავლის შედეგები და ბენეფიციარის მიერ პროტესტის დროს წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად განხორციელებული ან განსახორციელებელი ნებისმიერი ზომები;
3.18 საბოლოო ანგარიშსწორებამდე მუნიციპალიტეტს არა აქვს უფლება ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთოს პროექტის ქონება;

;

IV მუხლი
ფონდის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

4.1 პროექტის განხორციელებისათვის ფონდი სრულად დააფინანსებს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს, შესაბამისი საბიუჯეტო და დონორის დაფინანსების გამოყენებით;
4.2 ფონდმა პროექტის ფარგლებში საჭირო ყველა შესყიდვის პროცედურა უნდა ჩაატაროს შესყიდვების გეგმის შესაბამისად;

4.3 ფონდმა უნდა განახორციელოს ქონების გადაცემის შემდგომ, მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ტექნიკური ზედამხედველობა;
4.4 ფონდს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეიტანოს ცვლილება მასში, თუ ამგვარი ცვლილება ტექნიკურად აუცილებელია და დასაბუთებულია;
4.5 ფონდი მიაწოდებს მუნიციპალიტეტს კონტრაქტორებთან ხელმოწერილი მიწოდების/მომსახურების კონტრაქტების ასლებს.

V მუხლი
საქონლისა და მომსახურების მიღება-ჩაბარება

5.1 მიწოდების/მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში კონტრაქტორის მიერ შესაბამისი ტექნიკის/ქონების საბოლოო დანიშნულების ადგილზე მიწოდების შემდეგ მუნიციპალიტეტის მიერ მათი მიღება განხორციელდება ფონდისა და შესაბამისი კონტრაქტორის წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ მიზნით ფონდი და მუნიციპალიტეტი გააფორმებენ მიწოდებული ტექნიკის/ქონების მიღება-ჩაბარების აქტს (`მიღება-ჩაბარების აქტი~). აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტში ასახული იქნება მიწოდებული ტექნიკის/ქონების სრული საბალანსო ღირებულება, ტექნიკის/საქონლის იმპორტთან და საბოლოო დანიშნულების ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი/დანახარჯის ჩათვლით. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტით მოხდება ტექნიკის/ქონების სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ბალანსიდან მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე გადაცემა;
5.2 იმ შემთხვევაში, როდესაც მუნიციპალიტეტისთვის ქონების/ტექნიკის/ მომსახურების მიწოდება, ფონდის მიერ კონტრაქტორთან გაფორმებული მიწოდების/მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ითვალისწინებს თანმდევი მომსახურების მიწოდებასაც, მუნიციპალიტეტისთვის ამ მომსახურების მიწოდების დადასტურება უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის, ფონდის და კონტრაქტორის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტით; A
5.3 თუ 5.2 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტი შედგა 5.1 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე, მაშინ მისი ღირებულება ასახული უნდა იქნას 5.1 პუნქტში განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ტექნიკის/ქონების სრულ საბალანსო ღირებულებაში. ხოლო თუ 5.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებაზე მიღება-ჩაბარების აქტი შედგა 5.1 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდგომ, მაშინ მომსახურების ღირებულების სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ბალანსიდან მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადაცემისთვის დამატებითი დოკუმენტი არ იქნება შედგენილი და მომსახურების/აქტივის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა განხორციელდება 5.2 პუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით;
5.4 მუნიციპალიტეტმა და ფონდმა უნდა ითანამშრომლონ (ა) საქონლის/მომსახურების მიღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად მიწოდების/მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში; (ბ) მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად; (გ) ყველა სხვა ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად, რომელიც აუცილებელია ქვეპროექტის შესასრულებლად და ქვეპროექტის აქტივების გადასაცემად. ქვეპროექტის აქტივების გადაცემასა და

ქვეპროექტის ამოქმედებასთან ერთად, მუნიციპალიტეტი წინამდებარე დოკუმენტით აცხადებს თანხმობას დაიცვას სათანადო საერთაშორისო ეკოლოგიური პრაქტიკის მოთხოვნები და უზრუნველყოს ქვეპროექტის ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი წესებისა და სტანდარტების, ასევე მოცემული თარიღისათვის არსებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად.

VI მუხლი
ცვლილებები, დამატებები და შეტყობინება

6.1 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და ისინი წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;
6.2 წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა მათი ხელმოწერის თარიღიდან, ან მათში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა თარიღიდან.

VII მუხლი
ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა, შეჩერება

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევა ორივე მხარის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ;
7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;
7.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ფონდს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ქვეპროექტით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდების პროცესი, მუნიციპალიტეტისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რის შემდეგაც ფონდი შეაჩერებს ყველა საქმიანობას პროექტის ფარგლებში. შეჩერება ძალაში იქნება, სანამ ფონდი წერილობითი სახით არ გააუქმებს მას.

VIII მუხლი
დავების გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაჭრილი უნდა იქნეს მხარეების მიერ მოლაპარაკების საფუძველზე;

8.2 თუ 30 დღის განმავლობაში ამგვარი მოლაპარაკებების შედეგად არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

IX მუხლი

სხვა დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ერთი მხარის მიერ მეორისადმი მოთხოვნილი, ნებადართული ან წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინება, სერთიფიკატი, მოთხოვნა, ანგარიში, თანხმობა, დოკუმენტი ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ა) წერილობით, ბ) ქართულ ენაზე, გ) ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან ნებისმიერ სხვა მისამართზე, რომელსაც დაადგენენ მხარეები ერთმანეთისადმი შეტყობინების საფუძველზე:

გორის მუნიციპალიტეტი
ქ. გორი, -- ქ. #---
ტელ: ----------
მუნიციპალიტეტის მერი: ----------

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
დავით აღმაშენებლის გამზირი #150, თბილისი 0112, საქართველო
ტელ: (995 32) 2437001; 2437002; 2437003; 2437004
ფაქსი: (995 32) 2437077
ფონდის EBRD პროგრამის მენეჯერი: ლელა მაჩაიძე

9.2 როდესაც წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეტყობინების გაგზავნის ან რაიმე ქმედების განხორციელების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, აღნიშნული ქმედება უნდა განხორციელდეს შემდეგ სამუშაო დღეს;

9.3 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და განიმარტება მის შესაბამისად;

9.4 წინამდებარე ხელშეკრულება არ აფუძნებს ერთობლივ საწარმოს, არ ქმნის პარტნიორულ ან სხვა მსგავს ურთიერთობას მხარეებს შორის;

9.5 თავებისა და მუხლების სათაურები მხოლოდ მოხერხებულობისათვის არის შეტანილი და არ უნდა იქნეს გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულების განმარტების ან ინტერპრეტირების დროს;

9.6 წინამდებარე ხელშეკრულება მომზადდა და გაფორმდა ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება მხარეებთან. თუ თავს იჩენს რაიმე გაურკვევლობა ან შეუსაბამობა ხელშეკრულების ქართულ ოფიციალურ ვერსიასა და ნებისმიერ სხვა ენაზე

შესრულებულ მის თარგმანს შორის, უპირატესობა ენიჭება ქართულ ოფიციალურ ვერსიას.

ზემოთქმულის დასამოწმებლად, მხარეები თავიანთი სახელით ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ აღნიშნულ წელსა და რიცხვში.

გორის მუნიციპალიტეტი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი შენგელია**
მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე თავზარაშვილი**	
_____	_____
მ.ა.	მ.ა.

დანართი N1. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
PR1	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და პრობლემების შეფასება და მართვა						
1.1	ყოველწლიური გარემოსდაცვითუ და სოციალური ანგარიშების (AESRs) მომზადება და წარდგენა, ESAP მოთხოვნათა დანერგვის მდგომარეობასა და გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და სოციალურ (EHSS) მიმდინარე საკითხებზე	ESAP-ის დანერგვისა და EHSS მონიტორინგი	EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (ESP) და შესრულების მოთხოვნები (PRs)	შიდა და რესურსი, მგფ, კონსულტანტი	ყოველწლიური ანგარიშგების წარდგენა იურიდიული შეთანხმების პირობების შესაბამისად	ESAP-ის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP), საჩივრების მექანიზმისა და EHSS-ის შესრულების შესახებ ანგარიშების წლიური წარდგენა EBRD-ის სტანდარტული ანგარიშგების ნიმუშის გამოყენებით (და ESAP-ის "სტატუსი"-ს მაჩვენებლის განახლება თითოეული სამოქმედო პუნქტისთვის.	
1.2	საპროექტო დოკუმენტაციისა და ყველა გარემოსდაცვითი და სოციალური ნებართვებისა და თანხმობების მოპოვების უზრუნველყოფა ყველა შესაბამისი ქმედებისათვის (მათ შორის გზშ, საჭიროების შემთხვევაში	ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნებისადმი შესაბამისობა	EBRD PR1	ბენეფიციარები მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიები - (MTC), კონსულტანტი,	საჭიროების შესაბამისად	EHSEHS ნებართვები და თანხმობები ქმედებებისათვის მიღებულია	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობა	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
1.3	EHSS მონიტორინგის გეგმების გამცორციელება და მათი შედგების დოკუმენტირება	ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნებისადმი შესაბამისობა	EBRD PR 1	შიდა რესურსი პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	ყოველწლიური	გარემოს დაცვისა და სოციალური ანგარიში; მდგრადობის ანგარიში	
1.4	კვალიფიციური გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯერის რეკრუტირება ან დანიშვნა EHS-ის დანერგვის, კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და EBRD მოთხოვნების თანახმად; მათ შორის (მაგრამ არ შემოიფარგლება) EHS-მართვის სისტემის განვითარება და დანერგვა, კომუნიკაციის პოლიტიკა, ტრენინგები, პროცედურები და შესრულების მონიტორინგი.	გარემოსდაცითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესება	EBRD PR1	შიდა ან გარე რესურსი / კონსულტანტი	EBRD-თან საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების დროს	დასაქმებული გარემოს დაცვისა და სოციალური მენეჯერი	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
1.5	გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მართვის სისტემების შემუშავება და განხორციელება ISO 14001, ISO 45001, ISO 39001 სტანდარტების პრინციპებისა და ამოცანების შესაბამისად (E&S პოლიტიკის, პასუხისმგებლობების, უსაფრთხოების რისკის შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების, დოკუმენტირება, მონიტორინგი და სხვა)		EBRD PR 1, ISO 14001, ISO 45001, ISO 39001	მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიების შიდა რესურსი / გარე კონსულტანტები	პროექტის განხორციელების პირველი ორი წლის განმავლობაში	გარემოსდავითუ და უსაფრთხოების მართვის სისტემები განვითარებულია ყველა მუნიციპალურ სატრანსპორტო კომპანიაში	
1.6	კონტრაქტორების შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნულ და ევროკავშირის EHS მოთხოვნებთან (OHS, აირის ემისიები, ნარჩენების მართვა), ასევე ERBD-ის მოთხოვნებთან		EBRD PR 1, ISO 14001, ISO 45001	შიდა რესურსი პასუხისმგებლობა: მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიები	საჭიროების შესაბამისად	ბანკისათვის მისაღები დოკუმენტაცია	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლ ობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
1.7	სატრანსპორტო კომპანიების ყველა თანამშრომლის ტრენინგის უზრუნველყოფა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მართვის სისტემებსა და ძირითად გარემოსდაცვით და უსაფრთხოების რისკებზე. ტრენინგი შეიძლება მორგებული იყოს თანამშრომელთა სპეციფიკურ ჯგუფებზე მათი ფუნქციების, პასუხისმგებლობისა და სამუშაო ადგილების მიხედვით		EBRD PR 1, ISO 14001, ISO 45001	PIU კონსულტანტი მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიები	ყოველწლიურად პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	ბანკისთვის მისაღები დოკუმენტაცია	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლო ბელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
1.8	ურბანული ტრანსპორტის სექტორში უნარების ასამაღლებლად რეგიონული სასწავლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება, 100 ადამიანზე გათვლით (მინიმუმ 50% ქალი), აქცენტი გაკეთდეს ტექნიკური უნარების განვითარებაზე. ექვს საპროექტო ქალაქში ტრენინგის და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების ფარგლებში ადგილობრივ უნივერსიტეტებთან/ტექნიკურ-პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა/პარტნიორობის დამყარება.	უფროსი მენეჯმენტის ჩართულობის გაზრდა. ყველა სოციალური საკითხი და ზემოქმედება სათანადოდაა გადაწყვეტილი.	EBRD-ის ეკონომიკური ჩართულობის სტრატეგია (2017-2021)	EBRD-ის ტექნიკური მხარდაჭერა ინტეგრაციის სისტემის მეშვეობით.	დეკემბერი 2023 წელი	სასწავლო პროგრამა შემუშავდა, დამტკიცებული და განხორციელებულია ტრენინგის პროგრამის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკა	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლ ობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
PR2	შრომისა და სამუშაო პირობები						
2.1	**ადამიანური რესურსების პოლიტიკა:** სატრანსპორტო კომპანიებში ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება და დამტკიცება. დასაქმების პროცესის ფორმალიზება (ვაკანსიების განთავსება, რეკრუტირების პროცესის მკაფიო კრიტერიუმები, გენდერული პოლიტიკა და სხვა) სატრანსპორტო კომპანიებში თანამდებობებზე ქალთა დასაქმებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიღების უზრუნველყოფა.	ყველა სოციალური საკითხი და ზემოქმედება სათანადოდაა გადაწყვეტილი.	EBRD PR2, გვ. 6 ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნები, ევროკავშირის დირექტივები და საუკეთესო პრაქტიკა	EBRD-ის ტექნიკური მხარდაჭერა, პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე	შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანური რესურსების პოლიტიკა	
2.2	პოლიტიკის/პირობებისა და დებულებათა შემუშავება და დამტკიცება, რომელიც ეხება ანტიდისკრიმინაციას და დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს.	ყველა სოციალური და გენდერული პრობლემები და ზემოქმედება სათანადოდაა გადაწყვეტილი;	EBRD PR2, გვ. 12 ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნები, ევროკავშირის დირექტივები და საუკეთესო პრაქტიკა	EBRD-ის ტექნიკური მხარდაჭერა, პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე	შემუშავებულია და დამტკიცებული დასაქმების ანტიდისკრიმინაციული და თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკა / ვადები და პირობები.	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
2.3.	თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება და განხორციელება, რათა წარმოებაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა მოხდეს და დაცულ იქნას გაეროს ქალთა უფლებათა და შესაძლებლობათა გაფართოების პრინციპები. დამატებით, მინიმუმ, 50 თანამშრომელი ქალის დაქირავება, რომ დასაქმებულ ქალთა წილი სამუშაო ჯგუფებში მინიმუმ 22%-ით გაიზარდოს.	უფროსი მენეჯმენტის ჩართულობა უნდა გაიზარდოს.	EBRD PR2 EBRD-ის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის (2016-2020) სტრატეგია	EBRD-ის ტექნიკური მხარდაჭერა გენდერული საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში	დეკემბერი 2023 წელი	გენდერული სამოქმედო გეგმა მიღებული და დანერგილია რეალური პროგრესი გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების მიზნების მიღწევაში და ქალთა დასაქმებაში ქალი დასაქმება და მათი წილი სამუშაო პერსონალში	
2.5	დასაქმებულთა და საკონტრაქტო მუშაკთა საჩივრების პროცედურის ფორმალიზება, როგორც პირადად, ასევე ანონიმურად, სხვადასხვა ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენებით თანამშრომლებისთვის საჩივრის მიწოდების უზრუნველყოფა.	შრომისა და სამუშაოსთან დაკავშირებული პოტენციური რისკები	EBRD PR 2, OHSAS 18001	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე	საჩივრების განხილვის პროცედურა	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობა	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
PR3	რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და კონტროლი						
3.2	ემისიების, წყლის გამოყენებისა და ნარჩენი წყლების ჩაშვების, ნარჩენების მართვისათვისათვუს საჭირო ყველა ნებართვის მიღება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნებისადმი შესაბამისობა	EBRD PR3 - დაბინძურების პრევენცია და კონტროლი საქართველოს რეგულაციები დაბინძურების კონტროლის შესახებ	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლობა: MTC	საჭიროების მიხედვით	მუნიციპალურ სატრანსპორტო კომნიებს მირებული აქვთ ყველა საჭირო გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონმდებლობით ავტობუსების დეპოს ოპერირებისთვის	
3.3	სატრანსპორტო საშუალებების სარეცხი სისტემის გეგმის შემუსავება და განხორციელება და ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდის სისტემის მონტაჟი, ბუნებრივი რესურსების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	ყველა გარემოსდაცვითი პრობლემა და ზემოქმედება სათანადოდაა მოგვარებული.	EBRD PR3 - დაბინძურების პრევენცია და კონტროლი	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლობა: MTC	პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდის სისტემა მოქმედებს და მისი ოპერირების შესახებ ინფორმაციას ასახულია E&S ანგარიშებში	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლ ობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
3.4	განხორციელდეს ავტობუსების სადგურის ემისიის ყველა წყაროს, დამაბინძურებლების ინვენტარიზაცია და მონიტორინგი და ანგარიშგება მათზე. ატმოსფერულ ჰაერში ემისიების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის მომზადება და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენა საჭიროების შემთხვევაში	ყველა გარემოსდაცვითი პრობლემა და ზემოქმედება სათანადოდაა მოგვარებული.	EBRD PR3, ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნები, ევროკავშირის დირექტივები და საუკეთესო პრაქტიკა	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლ ობა: MTC	პროექტის მიმდინარეო ბის ყველა ეტაპზე	ატმოსფერულ ჰაერში ემისიების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საჭიროების შემთხვევაში	
3,5	სახიფათო მასალების მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება, მათ შორის დაღვრის ლიკვიდაციის პროცედურა	ყველა გარემოსდაცვითი პრობლემა და ზემოქმედება სათანადოდაა მოგვარებული.	EBRD PR3, ISO 14001, ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნები, ევროკავშირის დირექტივები და საუკეთესო პრაქტიკა	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლ ობა: MTC	პროექტის ექსპლუატაც იაში შესვლამდე	დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის გეგმა და დაღვრაზე რეაგირების პროცედურა შემუშავებულია	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
PR4	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება						

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობა	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
4,1	**HS მართვის სისტემა:** თითოეული ავტობუსის დეპოსთვის შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმის შემუშავება პროექტის წინა სამშენებლო ეტაპზე (საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცედურების ჩათვლით). - საგანგებო მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (EPRP) უნდა განახლდეს და კონსოლიდირებულ იქნას, რათა უზრუნველყოს ეფექტური და კოორდინირებული საპასუხო რეაგირების ზომები თითოეულ უბანზე; რეაგირების ღონისძიებები ხანძრის გაჩენისა და აფეთქების, წყალდიდობის, ექსტრემალური ბუნებრივი პირობების, ტერორიზმის, დაბინძურების შემთხვევაში; დაზარალებული საზოგადოების შეტყობინების პროცედურა,	საფრთხეებისა და რისკების შემცირება შრომის დაცვასა და უსაფრთხოებაში	EBRD PR 4 – შრომის დაცვა და უსაფრთხოება ISO 45001; საუკეთესო პრაქტიკა	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	ჯანმრთელობის უსაფრთხოების მართვის გეგმის შემუშავება და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობა	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
	სადაც ეს შესაძლებელია და ა.შ.						
4,2	**საგზაო უსაფრთხოება:** საგზაო მოძრაობისა და საგზაო უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და მძღოლების კვალიფიკაციის ამაღლება. საგზაო მოძრაობის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება ყველა სადგურსა და უბანზე, რათა ყველა მოძრავი ტრაფიკი, სადაც ეს შესაძლებელია, გამოყოფილი იყოს ფეხით მოსიარულეთაგან. იგი უნდა შეიცავდეს ნათლად განსაზღვრულ საგზაო მარშრუტებსა და მოძრაობის უფლებებს გზებზე ყველა სამუშაო ადგილზე, მკაფიოდ აღნიშნულ სიჩქარის ლიმიტებს და გამაფრთხილებელ ნიშნებს, უბნებზე მუშების გამაფრთხილების ზომებს, მანქანების შემოსვლის და გასვლის შესახებ.	საგზაო შემთხვევებთან დაკავშირებული რისკების შემცირება	PR 4 - საგზაო მოძრაობა და საგზაო უსაფრთხოება; ISO 39001; საუკეთესო პრაქტიკა	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	საგზაო მოძაობისა და საგზაო უსაფრთხოების სახელმძღვანელო საგზაო/მოძრაობასთან დაკავშირებული შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებელი საგზაო მოძრაობის მართვის გეგმის შემუშავება	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობელი	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
4.3	**მზადყოფნა გადაუდებელი შემთხვევებისთვის:** თითოეული სამუშაო ადგილისთვის რისკების შეფასების უზრუნველსაყოფად საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მეთოდების გამოყენება, რომელიც მოიცავს: • მუშებისა და მესამე პირთა საფრთხეების იდენტიფიცირებას; • ვინ შეიძლება მიადგეს ზიანი და როგორ; და • რისკის შეფასება და რისკის კონტროლისთვის საჭირო ღონისძიებების დადგენა. რისკების შეფასება თითოეული სამუშაო ადგილისთვის უნდა იყოს დოკუმენტირებული, ეცნობოს მუშებს და პერიოდულად განხილულ იქნას ყოველწლიურად.	საფრთხეებისა და რისკების შემცირება შრომის დაცვასა და უსაფრთხოებაში	ეროვნული კანონმდებლობა, EBRD PR 4, ISO 45001	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლობა: MTC	პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	რისკების შეფასება დასრულებულია და რისკის კონტროლის ზომები განსაზღვრულია	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობა	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
4.4	**ინციდენტი / უბედური შემთხვევის აღრიცხვა** ყველა მოვლენის (მათ შორის ახლო და მცირე დაზიანებების ჩათვლით) ავარიისა და ინციდენტების შესახებ შეტყობინების პროცედურის შემუშავება და განხორციელება და პირველადი მიზეზებისა და ტენდენციების დეტალური ანალიზი, არსებული კონტროლის ზომების გასაძლიერებლად, რეციდივების თავიდან ასაცილებლად. ყველა შემთხვევისა და ინციდენტის შეტყობინება თანამშრომლებზე და მათი განხილვა, ამოცანათა განახლება რისკის შესაბამისი შეფასებისთვის.		ეროვნული კანონმდებლობა, EBRD PR 4, ISO 45001	შიდა რესურსი / PIU კონსულტანტი პასუხისმგებლობა: MTC	ყოველწლიურად	ინციდენტების აღრიცხვის პროცედურა შემუშავებულია (ჩართულია უნდა იქნეს ყოველწლიურ ანგარიშებში, რომლებიც ბენეფიციერების მიერ წარედგინება მდფ-ს)	

№	ღონისძიება	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხისმგებლობა / სარგებელი)	საფუძველი (კანონმდებლობა, EBRD PR, საუკეთესო პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობა	შესრულების განრიგი	წარმატებული დანერგვის მიზნობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები	სტატუსი
4.5	**HS ტრენინგი:** დასაქმებულების H&S ტრენინგის უზრუნველყოფა მოიცავს ყოვლისმომცველ დისკუსიას ყველა რისკებზე, რომელიც შეიძლება შეიქმნას სამუშაო უბნებზე, მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, დეტალური ინსტრუქციები კონტროლის ზომების გამოყენების შესახებ, რისკების კონტროლის მიზნით, ინსტრუქციები PPE– ს სწორად გამოყენებისა და შეზღუდვის შესახებ.	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემების მართვის გაუმჯობესება	ეროვნული კანონმდებლობა, EBRD PR 4, ISO 45001	შიდა რესურსი / გარე კონსულტანტები პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	HS სასწავლო პროგრამის შემუშავება	

PR 6	ბიომრავალფეროვნება და ცოცხალი ბუნებრივი რესურსები						
6.1	**გორში** ნაკვეთებზე ხე-მცენარეების მოჭრის შეფასება და ბიომრავალფეროვნების აღდგენა 1: 2 პროპორციით.	ყველა გარემოსდაცვითი ზემოქმედება სათანადოდაა მოგვარებული.	EBRD PR6, ევროკავშირის დირექტივები და EBRD საუკეთესო პრაქტიკა PR6, ევროკავშირის დირექტივები და საუკეთესო პრაქტიკა	შიდა რესურსი პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	ხე-მცენარეების დარგვა განხორციელებულია გორში საკომპენსაციო ღონისძიებების შესაბამისად: მოჭრილი ხე-მცენარეების ნაცვლად დარგულია ახალი 1;2-თან შეფარდებით	

PR10	ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა						
10.1	SEP-ისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის მიღება, დაინტერესებულ მხარეთა უწყვეტი და სისტემატური ჩართულობის პროგრამის უზრუნველყოფა.	უზრუნველყოფილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	PR 10 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა საუკეთესო პრაქტიკა	შიდა რესურსი პასუხისმგებლობა: მუნიციპალიტეტები, MTC	პროექტის განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში	მიღებულია SEP დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საქმიანობის დოკუმენტირება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წლიური ანგარიში საჩივრი და წინადადებების აღრიცხვის ჟურნალი და კონფლიქტების მოგვარების ანგარიში.	